ტესტი ისტორიაში

II ვარიანტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა. შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა რომის იმპერიის საზღვრებზე სიმაგრეთა სისტემის - ლიმესების აგება?

ა) დიდი აბრეშუმის გზის დაცვის აუცილებლობამ;

ბ) ბარბაროსთა ტომების ხშირმა თავდასხმებმა;

გ) აჯანყებული მონების წინააღმდეგ ბრძოლამ;

დ) არქონტების ახალმა სამხედრო სტრატეგიამ.

(1) 2. ბიზანტიის რომელ იმპერატორს უკავშირდება ხატმებრძოლეობის დაწყება?

ა) რომანოზ IV-ს;

ბ) ალექსი I-ს;

გ) ბასილი II-ს;

დ) ლეონ III-ს.

(1) **3. რომელი მსჯელობაა მართებული კახეთის სამთავროს ანუ საქორეპისკოპოსოს ჩამოყალიბების შესახებ?**

ა) ჰერეთის მთავრებმა ისარგებლეს არაბთა დაპირისპირებით შაჰთან და ახალი სამთავრო ჩამოაყალიბეს;

ბ) ალავერდის ეპისკოპოსი სათავეში ჩაუდგა გამათავისუფლებელ მოძრაობას სელჩუკთა წინააღმდეგ და შემდგომ საერო ხელისუფლებაც შეითავსა;

გ) წანართა ხშირი აჯანყებები არაბთა წინააღმდეგ საბოლოოდ დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებით დასრულდა;

დ) ხაზართა მხარდაჭერით დიდებულებმა შეზღუდეს ქართლის მეფის ძალაუფლება და, ფაქტობრივად, დამოუკიდებელნი გახდნენ.

(1) **4. რომელი ინფორმაციაა მართებული შუა საუკუნეებში არსებული ლანდთაგების შესახებ?**

ა) საღვთო რომის იმპერიაში ვაჭარ-ხელოსანთა პროფესიულ გაერთიანებებს წარმოადგენდა;

ბ) რომის პაპის კურიის წარმომადგენლობითი ორგანოები იყო ფრანკთა სამეფოებში;

გ) ერესების წინააღმდეგ ევროპაში შექმნილ სასამართლოებს წარმოადგენდა;

დ) წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები იყო გერმანულ სახელმწიფოებში.

(1) **5. რა ღონისძიებები გაატარა დავით IV-მ მეფობის დასაწყისში, რათა გახიზნული მოსახლეობა დაბრუნებოდა სამოსახლოებს და ტრადიციული მეურნეობის აღდგენა დაეწყო?**

ა) დაიკავა ციხესიმაგრეები - სამშვილდე, რუსთავი და ხორნაბუჯი, რითაც თურქ-სელჩუკებს სავაჭრო გზით სარგებლობის საშუალება მოუსპო და დაატოვებინა ქართლი;

ბ) ჩაატარა სამხედრო რეფორმა - ჩამოასახლა ყივჩაღები, რომელთაგან შექმნა რაზმები და სრულად განდევნა თურქ-სელჩუკები საქართველოს ტერიტორიიდან;

გ) ჩავიდა ისპაჰანში და დაუზავდა სელჩუკთა სულთანს, აღუთქვა ყოველწლიური ხარკი, ხოლო სულთანმა აკრძალა მომთაბარეთა თარეში საქართველოს ტერიტორიაზე;

დ) შექმნა მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად გაწვრთნილი რაზმები, რომლებიც თურქ-სელჩუკებს საქართველოს ტერიტორიაზე თარეშის საშუალებას არ აძლევდა.

(1) 6. რომელი ინფორმაციაა მართებული საქართველოში მონღოლთა ბატონობის შესახებ?

ა) მონღოლთა წინააღმდეგ წარუმატებელი აჯანყების შემდეგ დავით VII ულუ იძულებული გახდა ჰულაგუ ყაენს დამორჩილებოდა;

ბ) დავით VI ნარინის მიერ წამოწყებული ანტიმონღოლური აჯანყება მარცხით დასრულდა და მანგუ ყაენის ბრძანებით მეფე სიკვდილით დასაჯეს;

გ) ბერქა ყაენთან დაპირისპირების შემდეგ დემეტრე II მთიულეთში გაიხიზნა, საიდანაც ხანგრძლივ ომს აწარმოებდა მონღოლთა წინააღმდეგ;

დ) გარნისის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ მონღოლებმა სუბუდაის მეთაურობით თბილისი აიღეს და რუსუდან მეფე დაატყვევეს.

(1) 7. რომელი სარაინდო ორდენი გაანადგურა საფრანგეთში მეფე ფილიპე IV-მ?

ა) ტევტონთა;

ბ) ტამპლიერთა;

გ) ჰოსპიტალიერთა;

დ) იეზუიტთა.

(1) **8. რა იყო გიორგი სააკაძის მეთაურობით მოწყობილი აჯანყების ერთ-ერთი შედეგი?**

ა) ქუთაისისა და შორაპნის ციხეებიდან ოსმალთა განდევნა და ტყვეთა სყიდვის აკრძალვა;

ბ) აღმოსავლეთ საქართველოდან ირანელთა თითქმის მთლიანად განდევნა და ქართლ-კახეთში თეიმურაზ I-ის გამეფება;

გ) ახალციხის საფაშოს გაუქმება და სამცხის ათაბაგად მანუჩარ III ჯაყელის დადგინება;

დ) ქართლ-კახეთში იმერეთის ტახტის მემკვიდრის, ალექსანდრე ბაგრატიონის გამეფება და საქართველოს ხანმოკლე გაერთიანება.

(1) **9. რომელი მსჯელობა *<u>არ არის</u>* მართებული იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის მოღვაწეობის შესახებ?**

ა) აქტიურად იბრძოდა ტყვეთა სყიდვის წინააღმდეგ;

ბ) სამხედრო კავშირი გააფორმა ქართლისა და კახეთის მეფეებთან;

გ) დაამარცხა სამცხის ათაბაგი და მესხეთი იმერეთს შეუერთა;

დ) დასავლეთ საქართველოს მთავრების მხარდაჭერით ხრესილის ბრძოლაში გაიმარჯვა.

(1) **10. რომელი ფაქტია მართებული საფრანგეთში იაკობინელთა მმართველობის შესახებ?**

ა) გააჩაღეს „დიდი ტერორი“, დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს ათასობით ადამიანი;

ბ) დაამხეს დირექტორია და გამარჯვებით დაასრულეს ანტიფრანგული კოალიციის წინააღმდეგ ომი;

გ) გამოაცხადეს მეორე რესპუბლიკა და სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს ამერიკელ რევოლუციონერებს;

დ) აღადგინეს კონსტიტუციური მონარქია და მოსახლეობის დაბალ ფენებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეუზღუდეს.

(1) 11. რომელი ზავით დასრულდა რუსეთ-ირანის 1826-1828 წლების ომი?

ა) სან-სტეფანოს;

ბ) ბუქარესტის;

გ) თურქმენჩაის;

დ) ადრიანოპოლის.

(1) 12. ვინ გაიმარჯვა საფრანგეთში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში 1848 წელს?

ა) ლუი ნაპოლეონმა;

ბ) ალფრედ დრეიფუსმა;

გ) ჟორჟ ბულანჟემ;

დ) ადოლფ ტიერიმ.

(1) **13. რა შედეგით დასრულდა რუსეთის ომი იაპონიასთან 1905 წელს?**

ა) მარცხი განიცადა იაპონიამ;

ბ) შენარჩუნდა ომამდე არსებული ვითარება;

გ) დამარცხდა რუსეთის იმპერია;

დ) კორეის ნახევარკუნძული ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა.

(1) 14. ვის სახელს უკავშირდება თურქეთის რესპუბლიკის შექმნა?

ა) თალაათ ფაშას;

ბ) მუსტაფა ქემალის;

გ) რეზა ფეჰლევის;

დ) ენვერ ხოჯას.

(1) **15. რის საბაბად გამოიყენა სტალინმა 1934 წელს ერთ-ერთი საბჭოთა ლიდერის, სერგეი კიროვის მკვლელობა?**

ა) მასობრივი რეპრესიების დასაწყებად;

ბ) ყველა ოპოზიციური პარტიის ასაკრძალად;

გ) სახელმწიფოში სამხედრო მდგომარეობის გამოსაცხადებლად;

დ) სახელმწიფო უშიშროების სამსახურის შესაქმნელად.

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა. შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ არაბთა სახელმწიფოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.

1. სასანიანთა სახელმწიფოს განადგურება
2. ხალიფათა მმართველობის დაწყება
3. ფრანკებთან ბრძოლაში დამარცხება

(1) **17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ესპანეთის მეფის, ფილიპე II-ის მმართველობის პერიოდში განვითარებული მოვლენები.**

1. „უძლეველი არმადის“ მარცხი
2. ლეპანტოს საზღვაო ბრძოლა
3. ანტვერპენის დარბევა

(1) **18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნის 20-30-იანი წლების იტალიის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები.**

1. იტალიის ჯარების ეთიოპიაში შეჭრა
2. მარში რომზე ანუ მსვლელობა რომისკენ
3. ლატერანის ხელშეკრულების ანუ კონკორდატის გაფორმება ვატიკანთან

ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ წყაროებში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





ტექსტი იხილეთ შემდეგ გვერდზე

1651 წელს მეფე იან კაზიმირის არმია უკრაინელებისა და მათი მოკავშირე თათრების წინააღმდეგ დაიძრა. ორი არმია ერთმანეთს ერთ-ერთი ქალაქის მახლობლად შეხვდა. 29 ივნისს პოლონელ-ლიტველთა კავალერია შეტევაზე გადავიდა. მოწინააღმდეგემ მათი იერიში მოიგერია და უკრაინელთა მხედართმთავრის ბრძანებით კონტრშეტევაც წამოიწყო, რომელიც პოლონელ-ლიტველთა არმიის სხვა სახეობის შენაერთებმა შეაჩერა. მოწინააღმდეგეები საწყის პოზიციებს დაუბრუნდნენ და მომდევნო დღეს გადამწყვეტი შეტაკების გასამართად და-იწყეს მზადება. ჯარისკაცების მოტივაციის ასამაღლ-ებლად იან კაზიმირმა საკუთარ არმიას უკანდახევის საშუალება მოუსპო. 30 ივნისს ბრძოლა განახლდა. მეფემ ბრძოლაში დაქირავებული უცხოელებიც ჩართო. ამავდროულად, პოლონელ-ლიტველთა სამხედრო ტექნიკამ ცეცხლი თათართა წინააღმდეგ მიმართა, რამაც მათ შორის დიდი მსხვერპლი გამოიწვია. ყირიმის ხანი ბრძოლის ველიდან გაიქცა, მას თათართა კავალერიაც მიჰყვა. უკრაინელთა მხედართმთავარი თათრებს დაედევნა, რათა ისინი ბრძოლის ველზე დაებრუნებინა. უმეთაუროდ დარჩენილმა უკრაინელებმა უკან დაიხიეს, მდინარის პირას გამაგრებული მიწაყრილი ააგეს და რამდენიმე დღის განმავლობაში თავს მამაცურად იცავდნენ. საბოლოოდ, უკრაინელებმა ჩრდილოეთის მიმართულებით უკანდახევა გადაწყვიტეს, თუმცა მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლის შემდეგ რთულად გადასალახი ბუნებრივი წინააღმდეგობების დაძლევა მოუხდათ, რამაც მათი გადაადგილება შეაფერხა.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **19.1.** დაასახელეთ უკრაინელთა არმიის მხედართმთავრის ვინაობა.

(1) **19.2.** პოლონელ-ლიტველთა არმიის რომელი სახეობის შენაერთებმა შეაჩერა უკრაინელთა და თათართა კონტრშეტევა 29 ივნისს, ბრძოლის პირველ დღეს?

(1) **19.3.** კონკრეტულად რა მოიმოქმედა იან კაზიმირმა საკუთარი არმიისათვის უკანდახევის საშუალების მოსასპობად?

(1) **19.4.** დაასახელეთ, კონკრეტულად რომელი ეროვნების ჯარისკაცებმა მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში მხოლოდ 30 ივნისს, ბრძოლის მეორე დღეს.

(2) **19.5.** სრულად ჩამოთვალეთ, კონკრეტულად რა იგულისხმება „რთულად გადასალახ ბუნებრივ წინააღმდეგობებში“, რამაც უკრაინელთა გადაადგილება შეაფერხა მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლის შემდეგ.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

წარწერა ილუსტრაციაზე ინგლისურად:

ლატვია, ლიეტუვა

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე,

კითხვები:

(2) **20.1.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომელსაც სიმბოლურად განასახიერებს ილუსტრაციის მარჯვენა ნაწილში გამოსახული პიროვნება და დაასახელეთ მისი ვინაობა?

(2) **20.2.** რა არის ილუსტრაციის მთავარი იდეა? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციის მიხედვით.

(1) **20.3.** ილუსტრაციაზე სიმბოლურად გამოსახულია ორ სახელმწიფოში განვითარებული მოვლენა, მსგავსი რამ მოხდა რეგიონის მესამე სახელმწიფოშიც. დაასახელეთ ეს სახელმწიფო.

ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



კითხვები იხილეთ
შემდეგ გვერდზე

კითხვები:

(1) **21.1.** რა ეწოდებოდა ყვითელი ფერით აღნიშნულ სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც განვითარდა 1866 წლით დათარიღებული სამხედრო მოქმედებები?

(1) **21.2.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომელსაც, რუკის მიხედვით, 1871 წელს ტერიტორია ჩამოერთვა?

(2) **21.3.** რა ეწოდებოდათ სახელმწიფოებს, რომლებმაც რუკის მიხედვით, გაიმარჯვეს 1866 წელს მიმდინარე ომში?

(2) **21.4.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქები აიღეს მწვანე ფერის ისრით აღნიშნულმა ჯარებმა ალყის შედეგად?

(2) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქები შევიდა რუკაზე ასახული ისტორიული პროცესების შედეგად ლურჯად აღნიშნული სახელმწიფოს შემადგენლობაში?

ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22. ყურადღებით წაიკითხეთ დავალება და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

22.1 და 22.2 კითხვებზე უპასუხეთ კონკრეტულად მოთხოვნილი მიზეზი და შედეგი. ზოგადი ხასიათის მიზეზისა და შედეგის დასახელება არ შეფასდება. ამასთანავე, პასუხი არ უნდა შეიცავდეს ფაქტობრივ შეცდომას.

22.3 და 22.4 დავალებები შეფასდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ახლავს ლოგიკური არგუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას. მხოლოდ დასახელება, არგუმენტის გარეშე, არ ფასდება.

22.5 დავალება არ შეფასდება შემდეგ შემთხვევებში: ა) მოტანილია მხოლოდ ანალოგია და არ არის დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები; ბ) მოტანილია არგუმენტები ანალოგიის დასასაბუთებლად, მაგრამ არ არის დასახელებული თავად ანალოგია; გ) დასახელებული ანალოგია და დასასაბუთებლად მოტანილი არგუმენტები ურთიერთშეუსაბამოა.

დავალება 22.

XVI საუკუნის 10-20-იან წლებში ესპანელმა კონკისტადორებმა დღევანდელი მექსიკის ტერიტორიაზე ილაშქრეს.

კითხვები:

(1) **22.1.** დაასახელეთ ამ მოვლენის ერთი კონკრეტული **პოლიტიკური** მიზეზი.

(1) **22.2.** დაასახელეთ ამ მოვლენის ერთი კონკრეტული **სოციალურ-ეკონომიკური** შედეგი.

(1) **22.3.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო დადებითი შედეგის მომტანი ეს ლაშქრობა, გარდა უშუალოდ კონკისტადორებისა და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(1) **22.4.** დაასახელეთ, ვისთვის შეიძლება ყოფილიყო ეს ლაშქრობა უარყოფითი შედეგის მომტანი, გარდა უშუალოდ ბრძოლაში დამარცხებულთათვის და რატომ? აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

(2) **22.5.** დაასახელეთ XVI საუკუნეში ამ ლაშქრობის მსგავსი მოვლენა და მოიტანეთ ორი არგუმენტი ამ ანალოგიის დასასაბუთებლად.

ინსტრუქცია დავალებისათვის №23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

დავალება 23. ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

პოლონელი გენერლის წერილი საქართველოს შესახებ. 1920 წელი.

რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი თბილისიდან, სადაც პირადი მიზნით ვიმყოფებოდი.

ჩემი მოგზაურობისას ყურადღება მიიქცია შემდეგმა:

ბათუმიდან მგზავრობისას საქართველოს საზღვარი იწყება სადგურ „ნატანებიდან“. ამ სადგურზე ამოწმებენ პასპორტებსა და ბარგს. მოხელეები ერთმანეთში საუბრობენ ქართულად, მაგრამ მგზავრებს რუსულად მიმართავენ. აბრები და სხვადასხვა სახის რეკლამა სადგურებზე დაწერილია ქართულად, თუმცა ხშირად ორ ენაზე: რუსულად და ქართულად. საინტერესოა, რომ კონსტანტინოპოლში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის მიერ ქართულად დაწერილი და ჩემთვის გადმოცემული სარეკომენდაციო წერილი, რათა ადვილად შემძლებოდა მოგზაურობა საქართველოში, მოხელემ ვერ წაიკითხა. ეს წერილი გადადიოდა ხელიდან ხელში, სანამ ისეთ პირთან არ აღმოჩნდა, რომელიც შეძლებდა ქართულად წაკითხვას.

როგორც პოლონელი გენერალი, ქართველთა მხრიდან ყველგან ვგრძნობდი მაქსიმალურად შესაძლებელ თავაზიანობასა და კეთილგანწყობას.

ქართული შეიარაღებული ძალები შედგება ე. წ. გვარდიისა და რეგულარული არმიისაგან. ამჟამად, როგორც ერთმა ქართველმა ოფიცერმა მითხრა, ჯარში 100 ათასი კაცია. თბილისში ნანახმა გვარდიელების ჯგუფმა ჩემზე არასასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ტანსაცმელი არ იყო ერთნაირი, იარაღიც ყველას ისე

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ეჭირა, როგორც უნდოდა. ეს მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მთავარ ქუჩაზე მოდიოდნენ გუშაგების შესაცვლელად.

თბილისი სავსეა უმუშევრებით, რუსეთის იმპერიის არმიის ყოფილი ოფიცრებით, ქართველებით. ჩემს კითხვაზე, თუ რატომ არ არიან საქართველოს ჯარში, ისინი მპასუხობდნენ, რომ არმიის შემცირების დროს უნდა ჰყოლოდათ დიდი მფარველი, რათა ჯარის რიგებში დარჩენა შეძლებოდათ. რასაკვირველია, ამ მიზეზითაა გამოწვეული მთავრობის საქმიანობისადმი მათი უკმაყოფილება და კრიტიკა.

სამხედრო მინისტრი ბატონი გრიგოლ ლორთქიფანიძე სამოქალაქო პირია. მისი მოადგილეა გენერალი ალექსანდრე გედევანიშვილი, რომელიც მოვინახულე, როგორც ჩემი ძველი ნაცნობი.

კერძო საუბარში მას ვკითხე, თუ რამდენად ეშინია საქართველოს ბოლშევიკების თავდასხმის. პასუხად მივიღე, რომ „საქართველოს სამხედრო გზა“ ერთადერთია ვლადიკავკაზის მხრიდან გადმოსასვლელად და საქართველოს შეუძლია ის საკუთარი ძალებით დაიცვას. საქართველოს ხელისუფლებას ეშინია ბოლშევიკების გამოსვლისა, რომლებიც აზერბაიჯანში არიან. საკუთრივ ბაქოში მუშების 60 პროცენტი რუსია, თანაუგრძნობს ბოლშევიკებს და ელოდება ხელსაყრელ დროს გამოსვლისათვის.

18-25 მარტს, თბილისში ჩემი ყოფნის დროს, ქალაქი უკვე გადავსებული იყო იმ ადამიანებით, რომლებიც ვლადიკავკაზიდან ბოლშევიკების გამოექცნენ.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ცხოვრება თბილისში გაცილებით იაფია, ვიდრე კონსტანტინოპოლში. საქართველოს დედაქალაქში იგრძნობა დეფიციტი. პროდუქტები, ფქვილისა და შაქრის გარდა, საკმარისია. არ არის ტანსაცმელი, საგალანტერიო საქონელი და ა. შ. საწყობები თითქმის ცარიელია. აღსანიშნავია, რომ თბილისში მშვიდი ცხოვრებაა რუსეთის ბატონობის დროსთან შედარებით.

ინტელიგენცია, თუკი დაინახავ, გაჭირვებულია და გაღატაკებული.

გზები ცოტაა, ტრამვაი დადის იშვიათად, ელექტრონის სინათლე ძალიან სუსტია.

გადასვლა კითხვებზე: 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12

კიდევ უფრო მეტ ცნობებს მოგაწვდით ალბათ საქართველოსა და აზერბაიჯანში სპეციალურად გამოგზავნილი დიპლომატიური მისია ბატონ ფილიპოვიჩის ხელმძღვანელობით, რომელსაც კონსტანტინოპოლში დაბრუნებისას გზად ბათუმში შევხვდი.

იუზეფ პოჟეცკი
გენერალი და
პოლონეთის სამხედრო წარმომადგენელი
კონსტანტინოპოლში

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დოკუმენტი პოლონეთის ცენტრალური სამხედრო არქივიდან, სამხედრო ატაშეების ფონდი, საქმე I.303.4 7187. გვ 5-7

კითხვები:

(1) **23.1.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიხედვით, რა იყო დოკუმენტის ავტორისადმი ადგილობრივი მოსახლეობის თავაზიანობისა და კეთილგანწყობის მიზეზი?

(1) **23.2.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ მოახდინა გვარდიელების ჯგუფმა დოკუმენტის ავტორზე არასასიამოვნო შთაბეჭდილება?

(1) **23.3.** დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის არმიაშიც თავის დროზე უნდა ემსახურათ ერთად დოკუმენტის ავტორსა და გენერალ გედევანიშვილს?

(1) **23.4.** დოკუმენტის მიხედვით, რამ აიძულა ადამიანები, რომლებმაც „გადაავსეს“ თბილისი, თავი საქართველოს დედაქალაქისათვის შეეფარებინათ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(1) **23.5.** დოკუმენტის მიხედვით, რომელ ქალაქს ადარებს დოკუმენტის ავტორი თბილისს და რა დასკვნას აკეთებს?

(1) **23.6.** დოკუმენტის მიხედვით, სამხედროების გარდა, საზოგადოების რომელი კონკრეტული ფენის წარმომადგენლების მდგომარეობა იყო მძიმე და რაში გამოიხატებოდა ეს?

(1) **23.7.** დოკუმენტში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს პოლონეთის სახელმწიფოს დაინტერესებას სამხრეთ კავკასიით?

(2) **23.8.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციის მიხედვით, საქართველოს რომელ ქალაქს ვერ აკონტროლებდა საქართველოს ხელისუფლება და რომელი ინფორმაცია ადასტურებს ამას?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე

(2) 23.9. დოკუმენტის მიხედვით, ვინ გადასცა დოკუმენტის ავტორს სარეკომენდაციო წერილი და რა მიზნით?

(2) 23.10. დოკუმენტის მიხედვით სრულად დაასახელეთ მიზეზები, თუ რატომ არ ეშინოდა გენერალ გედევანიშვილს ბოლშევიკების თავდასხმისა ჩრდილოეთიდან?

(2) 23.11. დოკუმენტის მიხედვით, რატომ იყო მოსალოდნელი ბოლშევიკების გამოსვლა ბაქოში და, თქვენი აზრით, რა საფრთხეს შეუქმნიდა ეს საქართველოს?

(2) 23.12. დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ ორი მიზეზი თუ რატომ არ მსახურობდა ქართველ ოფიცერთა ნაწილი ჯარში?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის 1-ლ გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-2 გვერდზე
გადასვლა დოკუმენტის ტექსტის მე-3 გვერდზე